ცნობის ფურცელი

№ 2004 ხუთშაბათი, 5 დეკემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 2004

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-72 №-რი.

ცხინვალელ დაზარალეაულთა სასარგებლოდ შემოწირულების შემკრები კომიტეტი აცხადებს.

რადგანაც კომიტეტს არ შეუძლია დააკმაყოფილოს დაზარალებულნი, რომელთა გაჭირვება ზამთრის დადგომისა გამო დღითი-დღე ძლიერდება, აზრადა აქვს 18 იანვარს 1903 წელს გამართოს ტფილისში საქველ-მოქმედო **ამერიკული ბაზარი საკონცერტო განყოფილებით.**

იმათ, ვისაც ჰსურს ფულად ან ნივთებით დახმარება, კეთილ-ინებონ და შეწირულებანი გამგზავნონ ერთ-ერთ ამ ადრესით:

სალამოს გამმართველს კნ. მ. თუმანოვისას (ბარიათინსკის ქუჩა, № 8), კომიტეტის წევრს ა. შტრეიხმრს (გოლოვინის პროსპ. დონბრეანსკის ს.) „ნოვოე ობოზ."-ს რედაქციას (ბარიათინსკ. ქ.) და „ტფილისის ლისტოკის" რედ. (გოლოვინის პროსპ. № 3).

(3—მ.—2)

წარმოდგენა 20. ტელეფონი 617

✡ **სადებიუტო წარმოდგენა** ✡

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 5 დეკემბერს, 1902 წელს

✦ მიხეილ კორიძის სადებიუტოდ ✦

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ორი პიესა

I

ავადმყოფნი

დრამა 2 მოქმ. გ. გაუპტმანისა

პირველად ახალი პიესა

II

დედის ნებიერი

კომ. ფარსი 3 მოქმ. რუსულ. გადმოთარგმ. დ. აწყურელის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, როსტომაშვილი და სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, კორიძე, ელენტი და სხ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად **„ტარტიუფი"**. **„მეჯვლიში იტალიელებითურთ"** (ვ. აბაშიძის საბენეფისოდ) **„სიძე-სიმამრი"**, **„გრიგალი"**.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

სრულიად ახლად გადაკეთებული

„იუჟნიე ნომერა"

მოხდენილად, წმინდად და შესაფერისად მოწყობილ ოთახებით; მოსამსახურე ქალებითა და კაცებით; ყოველგვარად მოწყობილია საცხოვრებლად. ნომრების ფასი სამი აბაზიდან დაწყებული და უფრო ძვირად; თვიურად 15 მან. და მეტიც. **ბარონის ქუჩა,** ფოსტისა და ტელეგრაფის ახლო, ქალაქის შუაგულში.

(6—4)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

შიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

საკონცერტო დარბაზი

არტისტიულ საზოგადოებისა

21 დეკემბერს

გაიმართება **„ქართველთა შორის წ. კითხვის გამავრც. საზოგადოების"** სასარგებლოდ

საღამო,

რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას: ბ-ნნი ნიკოლაევი (პიანისტი), ბ. პალივკა (ვიოლონჩელი), ვილშაუ (მესკრიპკე), ბ. ბროჯი-მუტინი (მომღერალი); ქ-ნნი ბაბაევა (მომღერალი), ბბ. აკაკი, ბალანჩივაძე და ქართული ხორო (ქალებისა და კაცების) ბ-ნ ფალიაშვილის ლოტბარობით.

ბილეთები იყიდება „ქართ. შ. წ. კითხვის საზოგადოებაში" (თავად-აზნაურობის ქარვასლა).

(0—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ნ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ქირურგიული, ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარძანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. მ. სობოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა", ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკინაძისა, № 21. (აგზნიის ქუჩის დასაწყისში).

ექიმი

დავით ალექსანდრეს ძე

გედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდე.

ოჩნი ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, სა ტო კრუგლოკის პირდაპირ. (45—31)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა ავადმყოფებს დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

ნახული და გაგონილი

(ხან წაკითხულიც)

VII

თავის მოძღვრისდება

ინგლისში რომ სამინისტრო გამოიცვლება, ინგლისის პოლიტიკასაც ცვლილება ეტყობა, ხან-და-ხან რადიკალური ცვლილებაც. როცა ლიბერალები გაიმარჯვებენ საერთო არჩევნების დროს და მთავრობა ლიბერალ მინისტრების ხელში გადავა, ინგლისელ ამომრჩეველმა წინდაწინვე იცის, თუ რა მოჰყვება ასეთ გამარჯვებას. ეს კიდევ არაფერი. არა თუ სამინისტროს გამოცვლას, სხვა თანამდებობის პირის გამოცვლასაც შესამჩნევი ცვლილება მოჰყვება ხოლმე ინგლისისებურ ქვეყნებში. როცა კერზონი ინდოეთის მმართველად დაინიშნა, ყველამ იცოდა, თუ რას მოასწავებდა ეს. დანიშვნა: კერზონი რუსეთის პოლიტიკის კარგი მცოდნე და, მაშასადამე, ამ პოლიტიკის დიდი მოწინაალმდეგეა; მისი წინა-მოადგილე-კი ამდენად ყურს არ უგდებდა ინდოეთის და ავღანისტანის გარეშე პოლიტიკას.

როცა ირლანდიის მმართველი იცვლება, ეს იმის ნიშანია, რომ ჰუმანური პოლიტიკა სასტიკზე უნდა შეიცვალოს ან სასტიკი ჰუმანურზე.

ყოველ დღე ვკითხულობთ ასეთ ამბებს ჟურნალ-გაზეთებში, ვეჩვევით და ვითვისებთ მათ და... თავს ვიტყუილებთ, ხშირად ჩვენდა უნებურად.

სულ უბრალო ცვლილება, მაგალითად, თუნდ ბოქაულის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა, ხან იმედებით გვავსებს და ხან სასოწარკვეთილებაში გვაგდებს. ცოტა-ხანს რომ კიდევ დაეტოვებიათ ჩვენთვის ეს პირი, ჩვენი საქმე კარგად იქნებოდაო. ამა და ამ პირს გვინიშნავენ ბოქაულად და თუ მართლა მოხდა ეს ამბავი, ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო. ისიც მოხდება, რომ ბოქაული მოკვდება. ეჰ! არ მომკვდარიყო, სკოლაც რიგიანი გვექნებოდა, გზებიც, საავადმყოფოებიც და ყველაფერიო. ისიც პომხდარა, რომ საქმის ცუდათ დატრიალება მიგვიწერია თუნდ ისეთ გარემოებისათვის, რომ სადგურზე შესაფერისად ვერ შევხვდით ახალ ბოქაულს.

ყველაზე სამწუხარო და სავალალო აქ ის არის, რომ ხშირად ასეთ „მკვიდრ საფუძველზე" (ბოქაულის გადაყვანა თუ არ გადაყვანა ან ახალის დანიშვნა) ამყარებენ ჩვენი შორს-მხედველი „მოღვაწეები" თავიანთ მოღვაწეობის მთელ პროგრამას! და ჩვენც გვჯერა, რომ რამეს ვეღირსებით!

ამდენის ხნის მეტად მწარე გამოცდილებამ თვალები ვერ აგვიხილა და ვერ დაგვანახვა სინამდვილე; აქამდე ვერ მიმვხდარვართ ჩვენს მდგომარეობას და ამ მდგომარეობის ხასიათს; აქამდე უსუსური ბავშვები დავრჩენილვართ და ბავშურის გულ-უბრყვილობით ვისმენთ და გვჯერა, რომ ჩვენი „მოღვაწეები" ხსენებულ გზით ჩვენ სურვილებს აგვისრულებენ.

პოეტისა არ იყოს, კმარა ამდენი „ძილი"! „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა", მაგრამ თვით ამ „ტურფა საბალნაროს" არც ერთის წასვლით და არც მეორეს მოსვლით არა ეშველება-რა. მშველელი თვით ჩვენ უნდა ვიყვნეთ. ბავშვობის დრო კაი ხანია წაგვივიდა.

ბავშვური შეხედულება და ქცევა სირცხვილია და საქმის დამღუპველი. ბოქაული ხომ ღმერთი არ არის, მაგრამ თვითონ ღმერთმა არუთხრა მეთევზეებს—ხელი გაანძრიეთ და მეც დაგეხმარებითო. და ჩვენ თუ ხელს გავანძრევთ, ნამდვილ თვით-მოქმედების გზას დავადგებით, დახმარება არავისი არ დაგვჭირდება... ბოქაულს თავისი საქმეც ბევრი აქვს..

* *

საზღვარ-გარედ

გერმანია. მკითხველს ეცოდინება, რომ სადამოჟნო ტარიფის პროექტის განხილვის დროს, სხვათა შორის, ნაციონალ-ლიბერალებიც მთავრობის და თავად-აზნაურობის მხარეზე იყვნენ. ეს კიდევ არაფერი. ეგევე ნაციონალ-ლიბერალები სავსებით მიემხრნენ კონსერვატორებს, როცა ამათ მოითხოვეს საპარლამენტო წესის შეცვლა, რომ ნამდვილ დემოკრატებისათვის ბრძოლის იარაღი წაერთმიათ ხელიდან. ამ ყოვლად უღირსმა ქცევამ „ლიბერალებისამ" აღშფოთება გამოიწვია თვით მათ მომხრეებ შორისაც. პოლიტიკურ ეკონომიის ცნობილი პროფესორი დოქტორი ლოტცი პარტიიდან სრულებით გამოვიდა და შემდეგი მეტად საყურადღებო წერილი დაბეჭდა გაზეთებში:

„ღრმა უფსკრულია იმათ შორის, ვისაც სადამოჟნო რეფორმა მიაჩნია გერმანიის ერის უდიდეს ნაწილის ინტერესების გადალახვად და სამშობლოს ეკონომიურ და პოლიტიკურ მომავალის საფრთხედ, და იმათ შორის, ვინც ბაჟის მომატებაში ეძებს მოგებას თავისთვის ან თავის პოლიტიკურ მეგობრებისათვის. ზომიერ პარტიების რომელი მომხრე გაბედავს ეხლა მიჰმართოს მშრომელ ხალხს და უთხრას—ენდეთ გაბატონებულ კლასების სამართლიანობასა და მზრუნველობასაო? რაც შეეხება საპარლამენტო წესდების შეცვლას, კარდორფის წინადადება და მაზედ მოყოლებული მთელი საპარლამენტო კომედია ისეთი აღმაშფოთებელი ძალმომრეობაა, რომ მას ვერ შეურიგდება არა თუ ლიბერალურ პარტიის წარმომადგენელი, არამედ ვერც ერთი რიგიანი კაცი, რომელ პარტიასაც არ ეკუთვნოდეს იგი.

ლიბერალისმი პროტესტია საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემოღებულ თვითნებობის წინააღმდეგ; მისი პრინციპი და მიზანია—ძალის მაგიერ სამართლიანობის დამყარება. ამ პრინციპისათვის ბრძოლაში გაიზარდა და დავაჟკაცდა ლიბერალისმი, ამ ბრძოლაში გაიმარჯვა რამდენჯერმე ბრწყინვალედ. თუ ლიბერალისმი უარს იტყვის ამ პრინციპზე, ამით იგი უარს ჰყოფს თავის თავსაც, სულ ერთია, რისთვის ჩაიდენს ამას იგი—სამრეწველო ან აგრარულ ბაჟისათვის, სავაჭრო ხელშეკრულებათა თუ რომელიმე პარტიის გულის მოგებისათვის. ლიბერალისმი რომ უფლების მაგიერ ძალას დაუწყებს სამსახურს, ის ლიბერალისმი აღარ არის".

ლოტცი, კაცი ზომიერ მიმართულებისა, ისე ხუშფოთებია მთავრობისა და კონსერვატორების ქომაგ პარტიის მოქმედებას, რომ პირდაპირ ამბობს: ზომიერ პარტიის არც ერთ წარმომადგენელს უფლება აღარ აქვს ამის შემდეგ ხალხს მიჰმართოს და ნდობა მოსთხოვოსო. ამის თქმა იმასაც ნიშნავს, რომ ხალხსაც სრული უფლება აქვს ზურგი შეაქციოს ასეთ პარტიას და არა ირწმუნოს-რა მისი.

მართალია, ხალხს ლოტცის წერილისათვის არ მოუცდია—მან ადრე შეაქცია ზურგი ნაციონალ-ლიბერალისტურ პარტიებს, მაგრამ ლოტცის წერილი მაინც საყურადღებოა, რადგან ცხად-ჰყოფს, რომ პარტია მის მომხრეთა თვალშიაც კი დაეცა და გათახსირდა, და რომ ამ დაცემისა და გათახსირების მიზეზი ელემენტარულ სამართლიანობისა და უფლების ღალატია.

რაც დრეიფუსის საქმე იყო საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებისათვის, იგივეა გერმანიის პოლიტიკურ პარტიებისათვის სადამოჟნო ტარიფის პროექტი: როგორც დრეიფუსის საქმემ საფრანგეთში, ისე სადამოჟნო პროექტმა გერმანიაში ყველასათვის თვალსაჩინოდ ჰყო, თუ რომელი პოლიტიკურ პარტია ადგას ნამდვილად პროგრესიულ და დემოკრატიულ პროგრამას და რომელი მხო-

ლოდ ხალხის თვალის ასაბმელად და მოსატყუებლად ხმარობს თავისუფლებისა და დემოკრატიის დროშას. ნაციონალ-ლიბერალებმა საბოლოოდ დაჰკარგეს უფლება თავის თავს ლიბერალები უწოდონ. ცენტრმა (კათოლიკე პარტია) ერთხელ კიდევ დაანახვა ქვეყანას, რომ მიუხედავად მუშებთან ლაქუცისა და მათი მოფერებისა, იგი მოკლებულია ყოველ სოციალურ მიდრეკილებას და რომ მზად არის თავის ვიწრო პარტიულ ინტერესებს მსხვერპლად შესწიროს ხალხის არსებითი ინტერესები.

ნამდვილ ლიბერალისმის მომხრედ დარჩნენ ეგრედ წოდებული „თავისუფალი მოაზრენი“ და სოციალ-დემოკრატები, მაგრამ ერთნაირად არა: თავისუფალი მოაზრენი ბოლომდე ვერ გაყვნენ დემოკრატებს ცხარე და მწარე ბრძოლაში: რიხტერი შეუშინდა დემოკრატების გაჰბედულებას და ამითი დიდი ვნება მოუტანა ხალხის ინტერესების დამცველ ოპოზიციას..

◆ ჰაკატისტები, რომელნიც დღეცა და ღამეც პოლონელების დევნასა და წვალებაზე ჰფიქრობენ და ოცნებობენ, ეხლა ახალ დახმარებას სთხოვენ პრუსიის მთავრობას პოზნანში გერმანულ „კულტური“-ს (იგულისხმე ძალმომრეობით პოლონელების გაგერმანელება) გასაძლიერებლად: უნდა დაარსდეს საგანგებო „სასკოლო კაპიტალი“ და დაენიშნოს დიდი ჯამაგირები იმ გერმანელ მასწავლებლებს, რომელნიც პოლონელების გადაგვარებას, გაგერმანელებას სცდილობენ ყოველის ღონის ძიებით. ფული იმიტომ უნდა მისცენ მეტი, რომ მეტის გულმოდგინეობით ემსახურონ ჰაკატისტების ძალმომრეობას პოლონელების წინააღმდეგ. ეგრედ წოდებული „საბავშვო ბაღები“-ც კი უნდა გამართონ ჰაკატისტებმა, რომ პოლონელი პატარა ბავშვები ნორჩობაშივე მოსწამლონ—შეაძულონ თავისი ენა და ერი.

გაზეთებს თუ დავუჯერეთ, ბერლინში ისე ცხარედ აღარ უნდა ეკიდებოდნენ პოლონელების საქმეს, როგორც აქამდე. თუ ეს მართალია, სჩანს, პოლონელების მედგარმა და მტკიცე მოქმედებამ დაარწმუნა პრუსიის მთავრობა ძალმომრეობით პოლიტიკის სრულ უნაყოფობაში შესახებ პოლონელების გაგერმანელებისა. ღმერთმა ჰქნას!

იაპონია. იაპონიის უნივერსიტეტებში დიდძალი ჩინელი ახალგაზდობა სწავლობს. როგორც ფრანგული გაზეთები იტყობინებიან, სამასამდე ჩინელი სტუდენტია იაპონიაში, ამათგან 163 ჩინეთის მთავრობის სტიპენდიანტია. გარდა ამისა, იაპონიაში გზავნიან მოხელეებს ადგილობრივ იაპონურ წესების შესასწავლად. პეკინში იაპონელებს მთელი უბანი უკავიათ თურმე. თითქმის ყველა გაზეთები, რომელიც პეკინში გამოდის, იაპონელების ხელშია. ტიანცძინში მათი მოქმედება და გავლენა კიდევ უფრო ძნელია. მანჯურიაში გაგზავნილია თურმე დიდ-ძალი იაპონელი სპეციალისტები ვაჭრობისა და მადნეულობის შესასწავლად. ამასთანავეო, სწერს ერთი გაზეთი, აღსანიშნავიაო, რომ იაპონელები სცდილობენ დამოკიდებულება არ იქონიონ რუსებთანაო.

ახალი ამბავი

◆ **ბათომის** ქალაქის საბჭოს ხმოსნობაზე 1-ლ დეკემბრის დამატებით არჩევანის დროს ყუთი დაუდგამს 54 კაცს, რომელთაგან რუსი ყოფილა 7, ქართველი 32, სომეხი 8 და ბერძენი 7. როგორც აღნიშნული გვქონდა, 17 ხმოსანი უნდა აერჩიათ და 9 კანდიდატი, ნამდვილად-კი აირჩიეს 14 კაცი, სახელდობრ: ბარკალაია მ. ს. (199—186), ბეთანოვი მ. ს. (216—167), ჯაყელი თ. ვ. (196—190), ელიაშვილი ს. ს. (193—192), ქუთათელაძე ს. ლ. (198—187), ნაკაშიძე თავ. ნ. პ. (223—164), ნაკაშიძე თავ. მ. მ. (199—186), კაკაბაძე ი. დ. (204—181), ქიქოძე ლ. ს. (204—181), ომარ-აღა-აში-ოღლი (198—188), ტრიანტაფილიდის ტ. პ. (220—165), ხითაროვი ი. მ. (215—169), ჩილინგარიანი ა. ს. (209—176), რეჯებ შაშიქ-ოღლი (210—174).

ამ გვარად, პირველ კრებაზე არჩეულნიც რომ ვიანგარიშოთ, ბათომის საბჭოს შეადგენს სულ 38 ხმოსანი, რომელთაგან ქართველია 18, რუსი 10, სომეხი 8 და ბერძენი 2.

◆ გუშინ-წინ, საღამოს 7 საათზე, ტფილისის სადგურის დეპოს **უფროსის ე. შპიგანოვიჩის** მოკვლა განუზრახავს ვიღაცას: მოულოდნელად დამბაჩა გავარდნილა და ტყვიას შპიგნოვიჩისათვის ზურგი გაუკაწრავს და პალტოში გაჩერებულა. მეისრე ანდრია რიბალკინი და მაშინისტის თანაშემწე ჩინიაევი დასდევნებიან მსროლელს, მაგრამ ვერ დაუჭერიათ, რადგან იმას სროლა დაუწყია დამბაჩისა მდევნელების მოსაგერებლად.

◆ ამ დღეებში ტფილისის გუბერნიის სამკურნალო გამგეობამ სოფლის სამკურნალოების კომიტეტების თავმჯდომარეებს დაუგზავნა **გუბერნატორის მოწერილობა**. მოწერილობა შეეხება იმ წესებს, რომელიც სამკითხველოებში უნდა იყოს. გამგეობა, სხვათა შორის, ატყობინებს თავმჯდომარეებს, რომ მაზრის უფროსებს დაეგზავნათ კვიტანციისა და შემნახველ-გამსესხებელ კასის წიგნები. საავადმყოფოების შესანახი ფული სოფლისაგან უნდა მოჰკრიბოს მამასახლისმა და გადასცეს მაზრის უფროსს, რომელიც, შემნახველ წიგნებში აღნიშვნის შემდეგ, შეიტანს ხაზინაში საზოგადოების სახელობაზე კომიტეტის თავჯდომარეს შემოსავალ-გასავლის წიგნებში დაწვრილებით ექნება აღნიშნული, ხაზინაში შესანახად ვის რა შეუტანია და ან ვის რა მიეცა აღნიშნულ ფულიდან. კომიტეტებმა მოქმედების ანგარიში უნდა წარმოუდგინონ ხოლმე სამკურნალო გამგეობას.

◆ გორის ქალაქის მამასახლისად არჩეული **ბ. ი. ანდრონიკაშვილი** გუბერნატორს დაუმტკიცებია ამ თანამდებობაში.

◆ ორშაბათის კრებაზე ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულნი ქალაქის **სამხედრო საზეგრო საკრებულოს წევრებად** ა. დ. სურენიანცი და გ. ზ. თამაშევი, კანდიდატებად ბ. ს. ესაძე და ტ. ს. ფეფელოვი ქალაქის მოურავის მოადგილემ დასამტკიცებლად წარუდგინა გუშინ-წინ გუბერნატორს.

◆ დღეისთვის ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორის მოხელედ ნამყოფის გიორგი ალექსანდრეს ძის პრიგოროვსკისა და ზუგდიდის მაზრის მცხოვრების აზ. სილოვან ჟორდანიასი. პირველს ჰბრალდება 12 **ზიუალბის ჩადენა**, ხოლო მეორეს ის, რომ პრიგოროვსკის ფული მისცა სიყალბის ჩასადენად. სხვათა შორის, მოწმეებად დაბარებულნი არიან ეპისკოპოსი გერმოგენი, არქიმანდრიტი არისტარხი, თავ. მიხეილ, ნიკოლოოზ და მუშნი დადიანნი, თავ. სამ. აბაშიძე და სხვანი.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, როდესაც ტფილისში ვინმე სახლს აშენებს, მასალის დასაწყობად ადგილის სარგებლობისათვის განსაკუთრებულ ნიხრით ფულს იხდის ქალაქის სასარგებლოდ. რადგანაც გამგეობას მოუსურვებია ამ ნიხრის შეცვლა, ამიტომ წინადადება მისცა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროს ზედამხედველს ამ პოლიციის აგენტების სხდომა მოახდინოს და გამოარკვიოს ქალაქის რომელს ნაწილშია საჭირო ნიხრის შეცვლა. აგენტებისა და ზედამხედველების კრება დანიშნულია დღეისათვის.

◆ 2 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ტფილისის მოქალაქის 19 წლის ვასილ ბებუროვისა, რომელსაც კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმისა და სხვა ნივთების მოპარვა ჰბრალდებოდა. ოლქის სასამართლომ გადაუწყვიტა $3\frac{1}{2}$ წლით დაპატიმრება.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ პირველ დეკემბრისათვის დანიშნული პურის მცხობელთა ამხანაგობის „იმედის“ წევრთა საგანგებო კრება არ შესდგა, რადგან წევრთა საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა. კრება გადაიდო შემდეგი კვირისათვის (8 დეკემბრისათვის). ეს კრება, როგორც გადადებული, კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. ამიტომ საჭიროა, რომ ამ დღეს მაინც წევრთა მეტი რიცხვი გამოცხადდეს, რომ მთელის ამხანაგობის (250 მდე წევრია) საქმე რამდენსამე კაცს არ ჩაუვარდეს ხელში გადასაწყვეტად.

◆ 29 ნოემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე რაჭის მაზრის სამმართველოს საქმის მწარმოებლის სერგო ავალიანისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ჯარში გაწვეულთა სხვა-და-სხვა პირთაგან ქრთამების აღება და სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლება. საქმის გარჩევის დროს რამდენიმე მოწმემ კიდეც განაცხადა, ამდენი და ამდენი ფული მივეცით ავალიანს და განგვათავისუფლაო. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ავალიანი, გადაუწყვიტა ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა-გამასწორებელ რაზმში 2 წლით გაგზავნა. სასამართლომ ამასთანავე გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას უმაღლეს მთავრობასთან, რომ ავალიანს ეს სასჯელი 6 თვით საპყრობილეში დაპატიმრებით შეეცვალოს.

◆ კვირას, 1-ლ დეკემბერს, ბ-ნ პოლიცმეისტრის განკარგულებით დაიკეტა ქუთაისში კარგად ცნობილი „კასართობა“ ანუ მონარდ-მობილიარდეთა დროს გასატარებელი. დაკეტვის მიზეზი ის იყო, რომ მოთამაშეთ ცოტა კინკლაობა მოუვიდათ და ბოლოს თითქმის კიდეც წაუტყაპუნ-წამოუტყაპუნეს ერთმანეთს.

რუსეთის ქრონიკა

◆ ვაჭრობისა და მრეწველობის საზოგადოების მიერ არჩეულმა განსაკუთრებულმა კომისიამ საჭიროდ სცნო დაწესებულ იქმნას მუშათა დაზღვევა. დაზღვევა ყველა მრეწველისა და მწარმოებლისათვის სავალდებულო უნდა იყოს.

◆ როგორც სტატისტიკურ ცნობებიდანა სჩანს, 1902 წლის 1 იანვრამდე სახელმწიფო და სააქციონერო დაწესებულებებს 2,149 მილიონ მანეთის სესხი გაუციათ. აქედან 1,681 მილიონი მანეთი მიწის გირაოზე გაიცა, 468 მილიონი—ქალაქის ქონებაზე. როგორც იქვე მოთავსებულ ცნობებიდანა სჩანს, მიწათ-მფლობელობა მეტად დავალიანებულა. სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებისა მიწათ-მფლობელთ ჰმართებთ 1,020 მილიონი მანეთი, სააქციონერო დაწესებულებისა—515 მილიონი.

ფელეტონი

ქუთათური მოღვაწეობა

(წერილი მეგობართან)

I

ძვირფასო *

შენი მეგობრული ბარათი მივიღე და მოხარული ვარ, რომ ამით მაძლევ შემთხვევას გამოვსთქვა ყველაფერი, რასაც ჩემ გულში თავი მოუყრია და ჩემს გულს ასეთის აუტანელ სიმძიმით აწევს! ამ წერილს გიგზავნი ღიად, რათა მივსცე მისი წაკითხვის შეძლება ყველას, ვისაც კი სხვისი ფიქრი და გრძნობა რამდენათმე მაინც აინტერესებს, ვინც ჩემსავით იტანჯება და იძულებული კი არი თვისი ტანჯვა და მწუხარება გულშივე დაიმარხოს და მარტოთ-მარტო ზიდოს საშინელი სიმძიმე ასეთ მდგომარეობისა!... ვინც ამ წერილში თავისს ფიქრსა და გრძნობასა ჰპოვებს, ის, დარწმუნებული ვარ, ამ წერილის წაკითხვისათვის დახარჯულ დროს დაკარგულად არ ჩასთვლის!... განა ცოტანი მოიძებნებიან ჩვენ უბედურ სამშობლოში ისეთები, რომელნიც ღრმათ გრძნობენ ჩვენს უპადრუკობას, დასტირიან ადამიანის არარაობას და კერძოთ ქართველ კაცის დაცემას და გათახსირებას, მაგრამ ვერ უპოვნიათ მეგობარი, „გულის გამგონე“, „რომ ფიქრი ანდონ, გრძნობა თვისი გაუზიარონ“...

და მეც, ძვირფასო მეგობარო, ასეთს „გულის გამგონეს“ ვნატრობდი თავიდანავე და რა-კი იგი „მეგობრებში“ ვერ მიპოვნია, ახლა უცნობთა შორის დავეძებ...

შენ მწერ, რომ ჩემ წერილებს ეტყობა თან-და-თანი აცივება, სევდიანობა და უკანასკნელი წერილი კი იმედ დაკარგულ ადამიანის აღსარებას ჰგავსო! მართალია. შენ თავმოყვარე ხარ, მასთანავე გრძნობიერი და ნაზი და ადვილად გრძნობ მეგობრის შენდამი გაგულგრილებას, შენი მეგობრის სულის თან-და-თან მოღამებას...

არა, ასეთ წერილებს შენ არ იყავი ნაჩვევი ჩემგან, სულ სხვა სულით, ენერგიით, იმედებით გამსჭვალული სიტყვები გესმოდა ჩემგან, მაგრამ... ეს იყო ოდესღაც!... და ახლა კი ჩემს გულში მზაკვრულ თან-და-თანობით ისადგურებს იჭვი, უნდობლობა, უიმედობა და მე ვიტანჯები!...

ისიც აღარა მჯერა, რომ შენ მართლა გაქვს გულში ჭეშმარიტი გრძნობა მეგობრობასა ჩემდამი... ჩვენი მეგობრობა ჩემი ოცნებისა და ნატვრის ნაყოფი უფრო მგონია, ვიდრე ნამდვილი მოვლენა ცხოვრებისა!...

ჩვენ ხომ 18—20 წლის განმავლობაში „ერთ ფიქრს ვფიქრობდით“, ერთს ნატვრას ვასაზრდოებდით გულში, ერთნაირ იმედიანის ღიმილით შევცქეროდით შორეულ მომავალს!...

ახლა ეს ტკბილი, სიზმარივით ბუნდოვანი მოგონებანი უფრო ოცნება მგონია, ვიდრე წარსულ სინამდვილის მოგონება...

როცა სამშობლოში დავბრუნდი, უწინარეს ყოვლისა ცვლილება ჩემს მეგობრებში ვპოვე! მე მათი ადრინდელი სახე მქონდა ხსოვნაში აღბეჭდილი და გულწრფელად შევწუხდი, როცა ვნახე, რომ მათი ნამდვილი ფიზიონომია აღარ შეეფერებოდა ჩემს წარმოდგენას... იქნება მე გამოვიცვალე! ასეთ [illegible] ისე გულში დამაღონებელი სიცარიელე ვიგრძენი... მივხვდი, რომ აღარ მყოლია მეგობარი... და თუ ახლა გულწრფელად და მეგობრულად გებაასები, ეს მიტომ, რომ მე წარმოდგენის ძალით თვალწინ ვიყენებ ჩემს ძველს მეგობარს, რომელსაც ათი წლის წინეთ ვემეგობრებოდი, და მას ვებაასები, მასთან ვჩივი, მასთან მოვსთქვამ ჩემს უბედურებას...

პირველი ჩემი უბედურება ის არის, რომ მე ჩემს მეგობრებს ჩამოვშორდი და იძულებული შევიქენი, რომ მთელი სიმძიმე ჩემის ტანჯვებისა მარტო ვატარო!... ახალ მეგობართა ძებნა გვიან-ღა არის, მათი პოვნა შეუძლებელია, მე ეს აღარა მჯერა... თუ წინათ მე და შენ ოცნება გვაკავშირებდა, ახლა ხომ ოცნება იგი გაჰქრა, ოცნება მხურვალე და უსაზღვრო!... სადღა არის მეგობრობის შემქმნელი ელემენტი, ძალა? ასეთი ძალა ხომ საერთო იდეალისათვის საერთოთ ბრძოლაა... და რა-კი აღარც იდეალი შერჩენია ჩვენს საზოგადოებას და აღარც ძალა ბრძოლისათვის, ამიტომ მეგობრობის ფაქტორიც აღარ არის...

სული მეხუთება აქაურ ცხოვრების ატმოსფერაში!.. მთელს ხალხს მონობის ბეჭედი აზის სახეზე! მონური აპატია და ინდეფერენტისმი არის ნიშნობლივი თვისება ჩვენის საზოგადოებისა!..

დიახ, ჩვენი საზოგადოება უმოქმედოა, ზანტი და უხალისო! მისს გულში აღარ ღვივის კაცობრიული იდეალები! ამისათვის ჩვენი გული მკვდარია და ჩვენი მხედველობის ჰორიზონტი მეტათ ვიწრო! არა, არამც თუ მოქმედებით ვეღარ მივილტვით იმ დიდებულ, ბრწყინვალე იდეალებისაკენ, რომელნიც გულში უღვივიან ყოველ სალს, განათლებულს ადამიანს, ფიქრსაც კი ვეღარ ვბედავთ მათზე და თვითკმაყოფილებისა და სიბრალულის ღიმილით ვისმენთ იმ „ფანტაზიორების“ გატაცებულ სიტყვებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ გაჰქრობიათ ის საუცხოვო ოცნებები, რომელზედაც შილლერის დონ-კარლოსი ამბობს:

„O der Einfall war kindisch, aber göttlich schön“.

ნათქვამია, შიში შეიქმს სიყვარულსაო და ეს არის ნათქვამი მხოლოდ იმათ შესახებ, რომელთაც მონური სული აქვთ!—ამავე დროს ჩვენსავე მოძმეს, რადგანაც იგი სუსტია, სულსა ვხდით და ვცდილობთ წინ ნაბიჯი არ წავადგმევინოთ!

ასეთს ადამიანს არავინ არ უყვარს საკუთარი თავის გარდა! მას არა აქვს განყენებული მსჯელობის უნარი, იგი ვერ სწონის სამართლიანად, ვერ აფასებს და არ შეუძლია სხვის აზრსა და რწმენას პატივით მოეპყრას!..

იგი განუსჯელად, დაუფიქრებლად ეხება სხვისს პიროვნებას, ბღალავს მისს პატიოსნებას, თავისი მოკლე ჭკუით ხელს აფათურებს სხვის სულსა და გულში და სხვისი სულის სიბნელეში თამამად კითხულობს მას, რაც იქ არა სწერია! ეს ჩვენს საზოგადოებაში სულ ჩვეულებრივი მოვლენა არის, წინააღმდეგი-კი—სულ იშვიათი გამოკლებაა.

დიახ, ყველაფერზე უფრო სასიამოვნო საქმე აქაურ „ინტელიგენციისათვის“ არის სხვის სულში ხელის ფათური, იქაური ჰიეროგლიფების თავისებურად კითხვა და კვლევა, ყოველ კაცის გასვრა და მიწასთან გასწორება!..

დავიწყოთ სულ წვრილმანებიდან და მსხვილ საქმეზედაც გადავიდეთ.

პრესსა

მთელი რუსეთი ადევნებს თვალ-ყურს იმ კომიტეტების მუშაობას, რომელთაც სასოფლო სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამორკვევა აქვთ მინდობილი. ჟურნალები დაწვრილებით აღნიშნავენ ყველაფერს, რაც საყურადღებო ხდება ამ კრებებზე. სხვათა შორის, ჟურნალ „ვესტნიკ ევროპის“ მემატიანე სწერს:

> ბევრს შესანიშნავსა და სასიხარულოს ვხედავთ კომიტეტების სხდომებზე. ჩერნის კომიტეტს, რომელმაც თითქმის ბატონ-ყმობის დაბრუნება მოისურვა, ცოტა მიმბაძველი ჰყავს. ბატონ-ყმობის თითო-ოროლა მოტრფიალენი სხვაგანაც მოიპოვებიან, მაგრამ ესენი უმცირესობას შეადგენენ და უმრავლესობა-კი, მთელი კომიტეტი, იმათ აზრ-შეხედულების წინააღმდეგია ხოლმე. ტირასპოლის კომიტეტში, მაგალითად, სიცილი გამოიწვია ერთის წევრის განცხადებამ, რომელიც „როზგის“ ქებათა-ქებას შეუდგა. თითქმის ყველა კომიტეტი სასოფლო-მეურნეობის პროგრესისთვის ორ რამესა თხოულობს: გლეხთა უფლებების გაფართოებას და სწავლა-განათლების გავრცელებას. ამ შემთხვევაში ერთის აზრისანი არიან იმპერიის სხვა-და-სხვა კუთხის შვილნი. ბევრგან კომიტეტებმა ფართოდ შეხედეს საქმეს, შეიმუშავეს ვრცელი და საფუძვლიანი მოხსენებანი. სხვა-და-სხვა ნაირად თხოულობენ ისეთ ასპარეზის შექმნას, სადაც ყველა კლასს, ყველა წოდებას შეეძლოს ერთად მოქმედება, საქმის გაკეთება. კამიშლოვის კომიტეტი თხოულობს, დაწესდეს განსაკუთრებული სასოფლო საბჭოები, სადაც სოფლელთა გარდა არეშენიც უნდა მიიწვიონ; ნოვოტორჟის კომიტეტმა ლაპარაკი ჩამოაგდო იმის შესახებ, რომ დრო გამოშვებით სოფლების წარმომადგენელთა კრებები გაიმართოს ხოლმე სასოფლო-სამეურნეო საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად. მუშაობა ყველგან ფიცხელი და გულ-წრფელია. სხდომებზე ერთი საყურადღებო საქმე მეორეს მოსდევს. სუჯანის კომიტეტს ჯერ ისევ სექტემბერში მზადა ჰქონდა 23 სხვა-და-სხვა მოხსენება და ორმოცამდე წერილი. მოხსენებანი შეეხებიან საფინანსო პოლიტიკას სასოფლო მეურნეობაში, გლეხთა სასამართლოს რეფორმას, იურიდიულ შემწეობას, მაგარ სასმელების მონოპოლიას და მრავალ სხვას. საყურადღებო მოხსენება წარადგინა, სხვათა შორის, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფმა ნ. ა. ხომიაკოვმა. მთავარი აზრი მოხსენებისა ის არის, რომ დღემდე სასოფლო მეურნეობა ღვთის ანაბარად იყო დატოვებული: იმისთვის არც რკინის გზები და ტარიფები იყო, არც სადამოჟნო პოლიტიკა და არც სხვა რამე. უმთავრესი კი ის არის, რომ საზოგადოებრივი თვით-მოქმედება დაჩაგრულია. ამ უკანასკნელ აზრს ყველა კომიტეტი ხმა მაღლა ამბობს, ყველა აცხადებს, რომ ვიდრე მეტი თვით-მოქმედება, მეტი თავისუფლება არ იქმნება, მანამდე საქმე წინ ვერ წაიწევს.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში

სამშაბათს, 3 დეკემბერს, სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ განაგრძო კამათი თავ. დ. გ. ჯანდიერის მოხსენების გამო. თავმჯდომარემ თავ. პ. ა. გრუზინსკიმ განაცხადა: წარსულ კრებაზე თავ. ჯანდიერის მოხსენების განხილვის დროს ბ-ნმა ისარლიშვილმა სასურველად სცნო დაარსდეს ჩვენში ისეთი დაწესებულება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ადგილ-მამულების გამიჯვნის საქმეს; ა. სააკოვმა საჭიროდ სცნო ერობის და ნაფიც-მსაჯულთა შემოღება. თვით მომხსენებლის აზრით, უნდა გაფართოვდეს ადმინისტრაციის უფლებანი; ადმინისტრაციამვე უნდა იკისროს სხვა-და-სხვა საშუალების შემოღება ბოროტ-მოქმედებათა აღმოსაფხვრელად. საქმე ჯერ სავსებით ვერ გამოირკვა, ამიტომ მოისმინოთ თავ. ჯანდიერს, რომელსაც კიდევ აქვს სალაპარაკო.

თავ. ჯანდიერმა კარგა ხანს ილაპარაკა და უფრო ვრცლად განმარტა თავისი მოხსენება და ის, რაც წინად ჰქონდა ნათქვამი. თავ. ჯანდიერის შემდეგ ილაპარაკეს სააკოვმა, სოკოლოვმა და ათაბეკოვმა. სხვათა შორის, ბ-ნმა სოკოლოვმა სთქვა, რომ ერთი და იგივე პირი ვერ შეასრულებს მოსამართლისა, გამომძიებლისა და ამსრულებლის თანამდებობებსო. პოლიციის უფლების გაფართოება უფრო საზიანოდ მიმაჩნია, ვიდრე სასარგებლოდ. ჩვენში უმეტესად რუსეთიდან ჰგზავნიან მოხელეებს, იმათ არც ადგილობრივი ენა იციან, არც ზნე-ჩვეულებანი. რა უნდა გააკეთონ ასეთმა მოხელეებმაო? ნ. ა. ათაბეკოვმა სთქვა, 12 წელიწადი მოსამართლედ ვიყავი და ვიცი, რა შევიწროებულია ხალხი დონდუკოვ-კორსაკოვის მიერ 1885 წელს გამოცემულ ცირკულიარით, რომლის ძალითაც თუ პოლიციამ 24 საათში არ აღადგინა მესაკუთრის უფლება მამულზე, მესაკუთრემ წელიწადები უნდა იაროს სასამართლოში უფლების აღსადგენად. ყურადღება უნდა მიექცეს თავ. ჯანდიერის მოხსენების ამ მხარეს. პოლიციას მეტი დრო უნდა ჰქონდეს უფლების აღსადგენად—2 კვირა ან და ერთი თვე.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ, თავ. გრუზინსკიმ განაცხადა: თავ. ჯანდიერი არაფერს ახალს არ ამბობს თავის მოხსენებაში. იმისი განცხადება ადმინისტრაციის უფლებათა გაფართოების შესახებ უკეთესი იქმნება მიღებულ იქმნას, რადგან პოლიციას წინანდელ უფლებასთან ერთად შეეძლება 24 საათზე მეტ დროში აღადგინოს დარღვეული უფლებანი მესაკუთრეთა. ჯანდიერის მოხსენების გამო კრებას წარმოუდგინა 6 წინადადება: 1) გამრავლდეს მომრიგებელ მოსამართლეთა რიცხვი და გაიმართოს ხშირად მათი კრებები ამა თუ იმ საქმის გამოსარკვევად; 2) დაწესდეს მოსამართლეებთან სახალხო ვექილების თანამდებობა; 3) გადათვალიერებულ იქმნას კანონი, რომელიც შეეხება დარღვეულ უფლების აღდგენას; 4) ნება მიეცეთ სოფლის საზოგადოებათ საერთო გადაწყვეტილებით შემოიღონ საურთიერთო დაზღვევა სხვა-და-სხვა უბედურებისაგან; 5) დაწესდეს ისეთი ორგანო, რომელიც უნდა ეცადოს მიწების მალე გამიჯვნას და 6) ნება მიეცეს პოლიციას დაიცვას უფლებანი ადგილის მესაკუთრისა საბუთების მიხედვით. ჩემის აზრით, კარგი იქმნება, მე-4 მუხლს გარდა წინადადებანი გადაეცეთ იურიდიულ საზოგადოებას და ვსთხოვოთ, განიხილოს ყოველ მხრივ და თავისი აზრი შეგვატყობინოს.

კრება დაეთანხმა თავმჯდომარის წინადადებას.

შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა: მთელის პროგრამის განხილვა და წარდგენა უნდა მოვასწროთ მომავალ წლის თებერვლამდეო. დღემდე მარტო ორი-სამი საგანი გვაქვს განხილული და თუ ასე წავიდა საქმე, ვერ მოვასწრებთ ყველაფრის განხილვას. უკეთესი იქნება მომხსენებლებმა თავიანთ მოხსენების დასკვნანი შეგვატყობინონ და სიტყვიერ განმარტებით დაგვისაბუთონ მათ მიერ დასახელებული მოსაზრებანი. ამას გარდა უკეთესი იქმნება, გადავათვალიეროთ პროგრამა და ზოგიერთი საგანი, რომელიც არ შეეხება ჩვენს კუთხეს, გამოუშვათო.

თუ ასე მოვიქეცით, მოვასწრებთ საყურადღებო საგნების განხილვას და მთავარ საბჭოში წარდგენას. მით უფრო სასურველია ეს, რომ საგუბერნიო კომიტეტი ყურს უგდებს ჩვენ გადაწყვეტილებას ამა თუ იმ საგნის შესახებ კრებამ მოლაპარაკების შემდეგ მიიღო წინადადება თავმჯდომარისა.

შემდეგ თავ. გ. ს. მიქელაძემ წაიკითხა ვრცელი მოხსენება წვრილი კრედიტის მოწყობის შესახებ, შინაარსს ამ მოხსენებისას ხვალ გაგაცნობთ მკითხველებს.

თეატრი

დღეს, 5 დეკემბრისათვის, ქართულ თეატრში **საინტერესო წარმოდგენა დანიშნული** ახალგაზრდა მსახიობის მიხეილ ქორიძის სადებიუტოდ. წარმოადგენენ ჰაუპტმანის დრამას „ავადმყოფნი“-ს და ახალ პიესას „დედის ნებიერს“. მონაწილეობას იღებენ გაბუნია-ცაგარლისა, აბაშიძე და სხვანი.

—

დღეს, 5 დეკემბერს, რკინის-გზის სახელოსნოების თეატრში ქართველი სცენი-მოყვარენი წარმოადგენენ ქ-ნ აზიანის კომედიას „ფულსა და ხარისხს“.

—

ქუთაისი. კვირას, 1-ლ დეკემბერს, ქუთაისის თეატრს ეწვია ნიჭიერი მსახიობი ქ-ნი ეფემია მესხი, რომლის მონაწილეობითაც ამ დღეს წარმოდგენილი იქმნა ოთხ-მოქმედებიანი დრამა „მედეა“. თუმცა პიესა ჩვენი ღარიბი სცენისათვის ძლიერ უხერხული და შეუსაბამოა, მაგრამ ქ-ნ ეფემია მესხის მონაწილეობა წარმოდგენაში სრულიად საკმაო იყო, რომ თეატრში დიდ-საზოგადოებას მოეყარა თავი. ამ მხრივ მოლოდინი სწორედ გაგვიმართლდა, მაგრამ მეორე მხრივ კი მთლად ვერა. თუმცა წარმოდგენამ საკმაოდ მწყობრად ჩაიარა, მაგრამ ისე კი ვერა, როგორც ეკადრებოდა ეფემია მესხის გასტროლს. მიზეზი ის იყო, რომ როლები ვერ იყო ხეირიანად განაწილებული. კორინთის მეფის კრეონის როლი მიეცათ ბ-ნ მირიანაშვილისათვის, რომელსაც სამეფო არც ტანადობა აქვს, არც მიხვრა-მოხვრა და არც ხმა. გორიდას როლი ძლიერ სუსტად შეასრულა ქ-ნმა თანიაშვილმა, რომელსაც სცენაზე ისე საწყლად და უხერხულად ეჭირა თავი, რომ გეგონებოდათ, სოფლიდან ახლად ჩამოსული გოგოაო. ბ-ნი ნემო მოხუცის ფილაქტეტის როლში ვერ იყო დარბაისელი კორინთელი. საკმაოდ ფერ-ნაკლული იყო ქ-ნ მდივნის თამაშიც. ბ-ნ ქორიძის სიტყვებში გრძნობა ნაკლებად იხატებოდა, თუმცა ხმა, მოყვანილობა და გრიმი მშვენიერი ჰქონდა. კარგი იყო ქ-ნი ეფემია მესხი, ეს გულ-მხურვალე, თავმოყვარე და შურის ძიებით განხელებული მედეა, მაგრამ ხან-და-ხან ისიც ისეთ ადგილს ჩერდებოდა ლაპარაკის დროს, რომ წინადადების აზრი სრულიად იკარგებოდა.

დასასრულ ერთი რამ მაკვირვებს: კავკასიის რასა, როგორც ყველამ ვიცით, თეთრ კანიანია; მედეაც, თუ ისტორიას დავუჯერებთ, კავკასიელი იყო, თუ ეს ასეა, მაშ რა საჭირო იყო, რომ მედეა და მისი მხლებელი ქალი აგურის ფერად შეღებილიყვნენ. და თუ მათთვის მართლა საჭირო იყო შეღებვა, იმ შემთხვევაში მედეას ბავშვის შეღებვაც არ უნდა დავიწყებოდათ.

—

პარასკევს, 6 დეკემბერს, ქუთათურ მსახიობთა დასი ეფემია მესხისა და ნინო ჩხეიძის მონაწილეობით წარმოადგენს „მონასტრის ზღუდეთა შორის“.

—

14 დეკემბერს, ქ-ნის ტიმჩენკო-რუბანის თაოსნობით, გაიმართება წარმოდგენა საკონცერტო განყოფილებით ქალთა უფასო სასწავლებლის მოწაფეთა სასარგებლოდ. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი ტასო აბაშიძე, ვასილ აბაშიძე და გ. მესხიშვილი.

დონ-ვალიანი.

—

სიღნაღი. 30 ნოემბერს სიღნაღის საკრებულოს დარბაზში რუსული წარმოდგენა გაიმართა ქ-ნ განკოვის მეთაურობით. ითამაშეს კომედია-ხუმრობა ბილიბინის „Приличіе“, ვოდევილი იმისავე „Нашла коса на камень“ და ერთ-მოქმედებიანი ხუმრობა იმისავე „Порохъ“. წმინდა შემოსავალი ამ წარმოდგენისა დანიშნული იყო საქალაქო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. მონაწილეობას იღებდნენ ამ სასწავლებლის ზედამხედველის მეუღლე, იმისი ქალი და მასწავლებლები, გარეშეთაგან ბ-ნი ჩუბკოვი და მოსწავლე ქალები—ბაქრაძისა და აკერმანისა, აგრეთვე ზოგიერთი მოხელე. წარმოდგენამ საერთოდ რიგიანად ჩაიარა—კარგად თამაშობდა ბ-ნი ჩუბკოვი. ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო და შემოსავალი მცირე იყო.

მორიელი

გამოვსულვართ მოედანზე და საზიზღარის ქვეშ-ქვეშობით ვარწმუნებთ ერთმანერთს: „X—ირთავს ამა და ამ ქალს, მაგრამ სიყვარული სულაც არა აქვს მისი, მზითვი იზიდავს; ხომ იცით, იმ ქალს აქა და აქ ასეთი და ასეთი მამულები აქვს და აბა რა ლამაზი ის არის, რომ X-მა ის სიყვარულით შეირთოს...

Y ი ამა და ამ კაცს მიჰყვება; მიჰყვება, რადგან საქმროს კარგი ადგილი აქვს, თორემ ქალს ესა და ეს ყმაწვილი უყვარს...

Z-ს არც დღე სძინავდა და არც ღამე, ქუდმოგლეჯილი დარბოდა, ქადაგობდა და მოახერხა არჩეული ყოფილიყო ამა და ამ დაწესებულებაში ისეთი რწმუნებულნი, რომელთა წყალობითაც ის თბილს ადგილს იშოვნიდა.

V—საზოგადო სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის იმიტომ კი არა, რომ საზოგადოებას ემსახუროს, არა, იმიტომ, რომ სურს საზოგადო ქადას (ხაჭაპურს) მიუჯდეს, რადგან ვიცით, რომ ჯიბაზე თხლათ არის...

W—უნდა პირველობა დაინარჩუნოს კოლლეგიაში და ამისათვის ეწინააღმდეგება ამა და ამ კანდიდატს.

ესა და ეს მოღვაწე თავგამოდებით იბრძვის ამა და ამ კანდიდატისათვის, რადგანაც მისი ნათესავია“.

აი, ასე გაიძახიან, აქაური საზოგადოების ფრიად პატივცემული წევრნი ქალნი და მამაკაცნი სხვების შესახებ და თავშიაც კი არ მოსდით ის აზრი, რომ სხვის გულში ამგვარათ ხელის ფათური და ჩხრეკა ზნედაცემული, სულმდაბალი ადამიანის თვისებაა, გათახსირებული მონის ხელობაა!..

რათ ვეჩრებით სხვის წმიდა-წმიდათაში, რისთვის ვთითხნით და ვბილწავთ იქნება სულ წმიდა სპეტაკს სულს ჩვენის მეზობლისას?

იმიტომ, რომ ჩვენ სხვისი სულიერი არსება იმდენად გვესმის, რამდენადაც იგი ჩვენსასა ჰგავს და აი, სწორედ ჩვენი სული, ჩვენი შინაგანი არსება არის საზომი სხვისი სულისა და ამიტომ გვგონია, რომ იგი „სხვა“ საკუთარი, პირადი კმაყოფილებისათვის და ფულისათვის ყველაფერს სისაძაგლეს ჩაიდენს!

დიახ, სხვისი გაკილვით, დამცირებით, სხვისი პატიოსნების შებღალვით ვამჟღავნებთ ჩვენს უპატიოსნობას, წვრილმანობას, უზნეობას.

ასეთი არის იმერეთის ინტელიგენციის უმრავლესობა!..

ასეთ საზოგადოებაში არც მოსალოდნელია, რომ რამე თვალსაჩინო, საქვეყნო დაწესებულებამ ფესვი გაიდგას, აყვავდეს და ქვეყნის საკეთილდღეოთ დიდი ნაყოფი გამოიღოს.. ამიტომაც არის, რომ ჩვენში ყოველი საზოგადოებრივი დაწესებულება სულს ძლივსა ჰლაფავს!.. ჩვენი აპატია და სიზარმაცე, უნდობლობა, შური და სულმოკლეობა არის მიზეზი, რომ ჩვენში ყოველი ამ გვარი დაწყებულება ჩხირ-კედელობასა ჰგავს!..

აი, თუნდა დავიწყოთ მრეწველობიდან.

შავი ქვის წარმოება ჩვენში დიდი ხანია დაიწყო, მაგრამ ჩვენი უვარგისობისა გამო ისე უხეიროთ და უშნოთ დაიწყო, რომ მან ვერც ადგილობრივი მკვიდრნი წამოაყენა ფეხზე და ვერც მრეწველნი გაამდიდრა! მე ჯერ აქ გამდიდრებული ქართველი არც მინახავს და არც გამიგონია! ამის მიზეზი ბევრნაირია, მხოლოდ უმთავრესი კი თვითონ ჩვენა ვართ!... მონა ყველაფერში ბეცი, უნდო, იჭვიანი და შურიანია; ის შორს ვერაფერს ჰხედავს, თავისავე მოძმესთან პატიოსნურ შეთანხმებით მოქმედება არ შეუძლია, ის უფრო იმას სცდილობს, თავის მოძმეს როგორმე დაასტყუოს, წაავლიჯოს რამე, ჩუმ-ჩუმობით და გაიძვერაობით სხვისი თავისას შემოუერთოს, და არა იმას, რომ თავისუფალი მეტოქეობით და პატიოსანი შრომით შეჰქმნას ახალი სიმდიდრე, ახალი ნაწარმოები.

მოიგონეთ ჭიათურაში არსებული საზიზღარი ჩვეულება ეგრეთ წოდებული „სკიდკა“, რომლის ძალითაც მზიდველს ათი ფუთის საფასის მაგიერათ 8 ფუთის საფასი ეძლევა, ხან კიდევ უფრო ნაკლებიც! ან და ის უწესოება, რომელიც გამეფებულია ჭიათურის სასწორებზე! აქ საწყალ კაცს, რომელიც ენდობა ჯერ ღმერთსა და მერე მრეწველს, კანონით აღკრძალულ ხერხებით, წონაში მოტყუებით ტყავს აძრობენ! ეს უკიდურესი საზიზღრობა—აგრეთვე არა ნაკლებ დასაგმობი „სკიდკა“—ხდება მრეწველთა სურვილისამებრ, და ამ მრეწველთა შორის ბევრი ვითომ ინტელლიგენტიც არის!..

მრეწველების ყოველგვარი ხრიკები და გაიძვერაობა მარგანეციანი მიწის პატრონებსაც გადაედვათ.—ხშირად ერთსა და იმავე ადგილს სულ სხვა-და სხვა მყიდველებს მიჰყიდიან ხოლმე, რის შედეგიც ის არის, რომ მაღნებში მუშაობა ჩერდება და წლობით გრძელდება ამის შესახებ აღძრული საჩივრები.

ან და [illegible]მე ძმები ან ერთი მამულის მოზიარენი ჰყიდიან ან იჯარით აძლევენ მამულს უცხო კაცს და განზრახვით პირობაში გამოსტოვებენ ხოლმე ან ერთს მონაწილეს, ან ხელ-შეკრულობაში მოაქცევენ მცირე წლოვანს და ასტყდება კვლავ დაუბოლოვებელი საჩივრები! მყიდველი ან მოიჯარადრე ხშირად იძულებულია გარიგებაში დიდი ფასი გაიღოს!.. ამას იურიდიულის ენით ჰქვია შანტაჟი და ცხოვრების ენით უზნეობა, ხოლო ჩვენი დაცემული საზოგადოება ითმენს ასეთს საზიზღრობას და მოხერხებულობას და სიმარჯვეს ეძახის!..

ასეთს პირობებში არ შეიძლება აღყვავდეს მრეწველობა!.. წყალი ამღვრეულია და ცუდი კაცები სცდილობენ ამ ამღვრეული წყლით ისარგებლონ და ხმა ისმის, რომ მომავალ მრწველთა კრებისათვისაც ამ ამღვრეულ წყალში არა ერთი ანკესია გადაგდებული უვიცთა და უგუნურ მრეწველთა დასაჭერათ!..

ტყვარჩელის ნახშირი ჯერ ერთი ფუთი არ გატანილა ადგილიდან, ჯერ ერთი წერაქვიც არ ჩასულა მიწაში ამ სიმდიდრის ამოსაღებად, და უკვე წყალი აამღვრიეს მოანკესეებმა, რაც შენ უკვე გეცოდინება ბ. ზდანოვიჩის წერილიდან, რომელიც „ნოვ. ობოზრენიე“-ში იყო დაბეჭდილი.

მოიგონე ნიკო თავდგირიძის განზრახვანი და მისი [illegible]ადადებული მეცადინეობა მათ განსახორციელებლად! რამდენი დაბრკოლება შეჰხვდა მას იმის გამო, რომ ჩვენ ერთმანერთს არაფერს ვუთმობთ, კერძო მტრობის გამო საზოგადოებურ ასპარეზზედაც მტრათ ვუხვდებით ერთმანერთს და ვღუპავთ საქვეყნო საქმეებს!

(შემდეგი იქნება)

სასამართლო

(წერილი ხილნაღიდან)

ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ 30 ნოემბერს გაარჩია საქმე ბოდბისხევის მცხოვრებთა ზურაბ მიხაშვილისა და დავით ზურაბაშვილისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ წინააღმდეგობის გაწევა ქვემო მაჩხაანის ბოქაულისათვის. როგორც სასამართლოში გამოირკვა, საქმე ასე მომხდარა. შარშან ბოდბისხეველებმა რამდენჯერმე უჩივლეს მამასახლისს, მიხა მიხაშვილს და ითხოვეს მისი გამოცვლა. მამასახლისი არ გამოცვალეს; საქმე იქამდის გამწვავდა, რომ 4 მარტს, მთელი საზოგადოება (400—500 კაცი) შეკრიბა, მიეჭრა სიღნაღში მაზრის უფროსს მანშიევს და სთხოვა, თუ დღესვე არ გამოგვიცვლით მამასახლისს, ნიშანსა და ბეჭედს არ ჩამოართმევთ, ჩვენ ვცემთ, ძალად ჩამოვართმევთ და ოჯახსაც დაუნგრევთო. მაზრის უფროსმა მაშინათვე მისწერა ქვემო მაჩხაანის ბოქაულს მამასახლისის დაუყოვნებლივ გამოცვლა და კანდიდატისათვის ჩაბარებინა ნიშანი და ბეჭედი ახალ არჩევამდის. ეს მიწერილობა ხალხს გადასცა და გაგზავნა ბოქაულთან. საზოგადოებამ მიწერილობით გასწია ახლა ბოქაულთან. როდესაც ჩავიდნენ სოფელში, რომელიც მაჩხაანის გზაზედ მდებარეობს, გაიგეს, რომ მამასახლისი მიხაშვილი ბოქაულთან წასულა; იგრიალა მთელმა სოფელმა და ბოქაულს კარზე მიადგა. შეუგზავნეს მიწერილობა კანდიდატისა და თორმეტ ამორჩეულ კაცის ხელით და თითონ კი ეზოში შეიცადეს. ბოქაულმა განაცხადა, რომ თუ ხალხი არ დაიშლება, მამასახლისს არ გამოვცვლით და გაგზავნა კანდიდატი ხალხის დასაშლელად. ხალხმა კანდიდატს დაბარა, რომ ვიდრე ნიშანს კანდიდატის ხელში არა ვნახავთ არ დავიშლებითო. გაიგო-რა ეს ბოქაულმა, მაშინათვე დარაჯები დაიბარა, თითონაც გარედ გამოვიდა, გამოჰკლიჯა უფროსს დარაჯს ხმალი და ხმლით დაუწყო ხალხს გარეკვა ეზოდან; ხალხი გაიქცა, მაგრამ ამ დროს ვიღამაც დაიძახა, სირცხვილია მთელი სოფელი ერთ კაცს გაექცესო, და ურჩიათ ბოქაულის გალახვა. მართლაც, ხალხი ხელად მობრუნდა—სტაცა ხელი ქვას, მარგილს, რაც კი მოჰხვდა ახლო-მახლო, და გაუდევნა ბოქაულს დიდის ყიჟინით. ბოქაული მალე შეიმალა სახლში და ხალხიც ყიჟინით ეზოს შემოეხვია. კარებში შეიარაღებული ხარაშვილი და თარაშვილი გაჩნდნენ და ხალხს მიაძახეს, რომ ვინც კარებს მოადგება, უსიკვდილოდ არ გაუშვებთო. ამ დროს სახლიდან გამოვიდა, შემთხვევით იქ მყოფი, მღვდელი მ. ბენაშვილი, გამოიტანა მამასახლისის ჯაჭვი და მისცა იქვე მდგომ კანდიდატს. ხალხმა, რაკი ჯაჭვი ხელთ იგდო, დამშვიდდა და დაბრუნდა სოფელში. ბოქაულმა ეს გარემოება მაშინათვე აცნობა მაზრის უფროსს, რომელმაც გამოძიება მოახდინა და თორმეტი კაცი პასუხისგებაში მისცა წინააღმდეგობის გაწევისათვის. გამომძიებელმა გამოიძია ეს საქმე და დამნაშავედ თორმეტი კაციდან მხოლოდ ორი ზემოდ აღნიშნული იცნო.

აი ეს საქმე გაირჩა 30 ნოემბერს. მოწმეების გამოკითხვის შემდეგ სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც გაამართლა ზურაბ მიხაშვილი, ხოლო გლეხი დავით ზურაბიშვილი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა საპყრობილეში ორის თვით დაპატიმრება. ზურაბიშვილი ამ განაჩენს არ დასთანხმდა და ასლი მოითხოვა საქმის გასასაჩივრებლად პალატაში.

შორეული

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 დეკემბერი

რომი. პრინეტიმ დეპუტატთა პალატაში განაცხადა: ჯერ არავითარი ცნობა არა გვაქვს იმის შესახებ, რომ სავაჭრო ხელშეკრულობებზე ვინმე უარს ამბობდეს. იტალია ალბად არ შეჰხვდება დაბრკოლებას ამ საგანზე მოლაპარაკების დროს და ვგონია, ავსტრიაც არ შეავიწროებს იტალიის მეღვინეობას, თავისი ნაწარმოების იქ შეზიდვით.

კარაკასი. პრეზიდენტის კასტროს გადაყენებისა და იმის მოადგილედ ახალის არჩევის მომხრენი უფრო მეტი ჩნდება.

ლონდონი. პარლამენტს გამოუცხადეს ვენეცუელას შესახებ დიპლომატიური მიწერ-მოწერა. გერმანია რჩევას იძლევა ერთად გემები გაგზავნოთ დემონსტრაციისათვისაო. ინგლისმა ურჩია ვენეცუელას ნავთსადგურების შეკვრა. გერმანია თანახმაა, ვენეცუელას გემები დაიჭირონ. ლანსდოუნმა დეპეშით აცნობა ბრიტანიის რწმუნებულს ბერლინში, რომ ინგლისი ამისი თანახმაა. 19 ნოემბერს ბრიტანიის ელჩმა ვენეცუელაში ინსტრუქცია მიიღო ულტიმატუმის შესახებ.

ნოვი მარგელანი. დილის 9 საათსა და 50 წამს მიწისძვრა იყო, რომელმაც სამ წუთს გასტანა. 10½ საათზე მიწისძვრა განმეორდა, თუმცა პირველზე უფრო სუსტად. მიმართულება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ ჰქონდა.

ლონდონი. დეპუტატთა პალატაში ბალფურმა სთქვა: სამაქრო კონვენციაში ისეთი არაფერია, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს უფროსად მფარველობის ქვეშე მყოფ სახელმწიფოს საჭიროებას.

ლორდთა პალატაში გამოაცხადეს, რომ მთავრობამ შეერთებულ შტატებისაგან მიიღო წინადადება, ვენეცუელასთან მომხდარი უკმაყოფილება მედიატორეთა სამართალით გაათავეთო.

შტუტგარტი. რუსეთის ელჩი თავადი კანტაკუზენი გადაიცვალა.

ბერნი. სისხლის სამართლის კანონებში უნდათ შეიტანონ ისეთი მუხლი, რომლის ძალით ციხეში დაპატიმრება უნდა მიესაჯოს იმას, ვინც საზოგადო დანაშაულობის ჩამდენს ქებას შეასხამს. ასეთი კანონი ანარქისტების წინააღმდეგაა მიმართული იმ შემთხვევებისათვის, როცა ესენი მეფეთა მკვლელობის ქების გავრცელებას დაიწყებენ.

4 დეკემბერი

პეტერბურგი. 1903 წლის ოთხ-პროცენტიან შინაგან სესხის ობლიგაციების ახალ კუპონებსა და ტალონებს სახელმწიფო ვალის გადამხდელი კომისია დაარიგებს 1903 წლის პირველ მარტიდან 1904 წლის 1 სექტემბრამდე ნაცვლად პირველ ათის წლის კუპონებისა. ამ ვადის შემდეგ კუპონები და ტალონები გაიცემა მხოლოდ თვით ობლიგაციების წარდგენის შემდეგ.

ლონდონი. ლორდთა პალატაში ლონსდოუნმა განაცხადა, რომ ინგლისი და გერმანია შეთანხმდნენ დაიწყონ ვენეცუელას ნავთ-სადგურების აკლება, თუ ახლად მიღებული ლონის ძიებანი ვერაფერს გააწყობენ. ვენეცუელას ტერიტორიის დაპყრობის განზრახვა არ არსებობს.

კარაკასი. ვენეცუელამ უპასუხა იტალიას, რომ იტალიის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ რევოლიუციის მოსპობის შემდეგ. ვენეცუელა საქმის გადაწყვეტას მიანდობს თავისს სასამართლოებს.

ლონდონი. ლორდთა პალატამ შეიწყნარა კანონ-პროექტი სათადარიგო ჯარის მოწყობის შესახებ.

ვენა. ჩეხთა კლუბმა ერთხმად მიიღო თავის დასის კომიტეტის მოხსენება ენების შესახებ.

ბერლინი. გემი „ვიტელსბახი“ ნისლის დროს კორსერის ჩრდილოეთის კიდეზე გაირიყა. მისაშველებლად გაჰგზავნეს კრეისერი „პრინც ჰენრიხი“.

ლონდონი. დეპუტატთა პალატაში ბევრმა ლიბერალმა გაჰკიცხა მეტად მჭიდრო შეთანხმება ინგლისისა გერმანიასთან. ბალფურმა ეჭვი განაცხადა რამდენად გაიოსდეგა იქმნება სხვა სახელმწიფოებთან სამხედრო აზრით შეთანხმება იმ პირობით, რომ ერთი მხარე იბრძოდეს ვიდრე ეს მოსწონს მას და მერე კი თავისს მოკავშირეს დაუთმობს ბრძოლის ველს, რომ მარტო იბრძოლოსო. (ტაშის ცემა). ბალფურმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ვენეცუელამ თითონ გამოიწვია ამგვარი მოქმედება.

მიუნხენი. გადაიცვალა ანატომი ფონ-კუპფერი.

დრეზდენი. მეფე ხველებით ავად არის და ლოგინში წევს.

ლონდონი. დეპუტატთა პალატაში კრანბორნმა უარი განაცხადა ეპასუხნა იმ კითხვაზე—ეცადა თუ არა ინგლისი ვენეცუელასთან საკამათო საქმე სიმედიატორო სასამართლოსათვის გადაეცა და უარ ჰყო თუ არა ეს წინადადება ვენეცუელამაო.

პარიზი. მინისტრთა საბჭოში დელკასემ აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროს მომხდარ ამბებს არავითარი კავშირი არა აქვთ იმ შეთანხმებასთან, რომლით დაკმაყოფილებულ უნდა იქმნას საფრანგეთის ქვეშევრდომთა მოთხოვნანი.—კოლონიების მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ საფრანგეთის ჯარმაც დასტოვოს მანჯაო, როდესაც სხვა სახელმწიფოთა ჯარები წავლენ.

ალჟირი. რუსეთის ესკადრა, რომელიც 5 გემისგან შესდგება, დღეს დილით მოვიდა აქ და 9 დღეს დარჩება.

ვაშინგტონი. საზღვაო დეპარტამენტში განაცხადეს, რომ შეერთებულ შტატების ესკადრის უფროსის ადმირალ დევეისათვის არავითარი მიწერილობა არ გაუგზავნიათ. მას ნება მიეცა იმოქმედოს ისე, როგორც გარემოება მოითხოვს ვენეცუელაში.

ორენბურგი. დღეს მოხდა პირველი სხდომა სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტისა.

ასხაბადი. ანდიჟანიდან „ზაკასპ. ობოზრ.“ ატყობინებენ, რომ დღეს, დილის 9½ საათზე მთელი ქალაქი დაქცია მიწის-ძვრამაო. რკინის გზის სადგურის შენობები დააზიანა, ლიანდაგი წახდა; მცხოვრებნი შეიკრიბნენ სადგურთან; მოსალოდნელია შიმშილობა. ადამიანთა დაღუპვის შესახებ ჯერ არ გამოურკვევიათ-რა.

ნოვი მარგელანი. 3 დეკემბერს, დილის 9 საათზე ანდიჟანში საშინელი მიწის-ძვრა მოხდა. დამსწრეთა სიტყვით, თითქმის მთელი ქალაქის დაიქცა; მიწის-ძვრამ რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლა; დაზიანდა ახლო-მახლო სოფლებიც; რკინის გზის ლიანდაგი დიდ-მანძილზეა გაფუჭებული. ნოვი-მარგელანიდან დაზარალებულთათვის გაიგზავნა სურსათი და თბილი ტანისამოსი.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. ჯაბადარი

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ 7 ამა დეკემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზე, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ვერის ხიდზე გადასახადის ალება. საიჯარო ვადა სამი წელიწადია.

პირობების გასინჯვა შეიძლება გამგეობის მე 4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (2—1)

საკვირველება

მე-XX-ე საუკუნისა.

საოცარი და საკვირველი მოვლენა: უხელო კაცი, **სინიორ ბარტონი**. დაიბადა უხელოდ 1880 წ. ქალაქს პალერმოში (იტალიაში), გაათავა სამხატვრო აკადემია, ამასთან მეცადინეობდა და ჰხატავდა ფეხებით. 10 წუთში გადაიღებს მსურველის სურათს ყველას თვალ წინ. სეანსები ყოველ ნახევარ საათს შემდეგ იქ, სადაც **ღია ხატოვან წერილების გამოფენაა** ფირმის A la Yille de Paris“-ის საწყობში, გოლოვინის პროსპექტზე, სახაზინო თეატრის პირ-და-პირ. შესვლა ღირს 25 კ. ბავშვები 15 კ. დიდებს ეძლევათ პრემიად 6 ღია წერილი, ბავშვებს 3 წერილი. (4—464—4)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—70)

ყოველგვარ

ხეხილის ნერგები

საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი საუკეთესო ხარისხისა იყიდება ზომიერ ფასად, ფარს. იაკ. ავსარქისოვის მამულში.

ადრესი უბრალო წერილებისათვის: „სკრა“, კავკასიის რკინის გზის სადგური, ხოლო ფულისა და „ზაკაზნოი“ წერილებისა: გორი, ფარს. იაკ. ავსარქისოვს. კატალოგები გაეგზავნებათ მსურველთ უფასოდ. (6—4)

იყიდება

ვერაზე, ხევს იქით 300 კვად. საჟენი მიწა. იკითხეთ მე 9 ნაწ. კრასნოგორსკისა და ოსიფოვის ვიწრო ქუჩა, რატიევის სახლი № 7

КТО лябитъ книги и интересуется всѣмъ, что имѣетъ къ нимъ хотя бы малѣйшее отношеніе, кто желаетъ знатъ, что творится въ литературномъ мірѣ въ Россіи и заграницею, хочетъ слѣдить за текущею литературою по всѣмъ отраслямъ и знать всѣ книжныя новости—тотъ пусть подпишется на самыи дешевый русскій ежемѣсячный иллюстрированный журналъ: КНИЖНЫХЪ МАГАЗИНОВЪ ТОВАРИЩЕСТВА М. О. ВОЛЬФЪ *ИЗВѢСТІЯ ПО ЛИТЕРАТУРѢ, НАУКАМЪ И БИБЛІОГРАФІИ*, который, кромѣ массы текущихъ свѣдѣній, справочнаго матеріала, списковъ, и каталоговъ новыхъ книгъ, русскихъ и иностранныхъ и т. п., помѣщаетъ статьи и изслѣдованія по исторіи литературы, критикѣ, библіотековѣдѣнію и пр. и пр., съ многочисленными иллюстраціями. Подписная цѣна на годъ 1 р., на веленевой бумагѣ 2 р. Подписка принимается въ книжныхъ магазинахъ Товарищества М. О. Вольфъ: Спб., Гостиный Дворъ, 18, и Москва, Кузнецкій Мостъ, 12. (Ѣ. 6—2)

Открыта подписка на 1903 годъ

НА ГАЗЕТУ

„КАСПІЙ“

(XXIII ГОДЪ ИЗДАНІЯ).

Въ 1903 году „КАСПІЙ“, въ Баку, ежедневно будетъ выходить по прежней программѣ газеты литературной, общественной и политической, съ особымъ нефтянымъ отдѣломъ, при той же самой подписной цѣнѣ.

По понедѣльникамъ и послѣпраздничнымъ днямъ будутъ разсылаться, по примеру прошлыхъ лѣтъ, телеграммы.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: Для иногороднихъ: на годъ 8 р. 50 к., на полгода—5 р., на 3 мѣсяца—3 р. и на 1 мѣс.—1 р. 50 коп. За границу: на годъ 13 р. на полгода—7 руб.

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится не менѣе 3 руб. городскими и 4 руб. 50 коп. иногородными подписчиками; затѣмъ 15-го февраля 2 руб. и 15-го марта 2 руб.

Иногородные адресуютъ свои требованія, въ Баку, въ редакцію газеты „Каспій“.

Подписка принимается: въ Баку—въ конторѣ газеты, Николаевская улица, домъ Г. З. А. Тагіева; въ Тифлисѣ—въ книжн. магазинѣ Браилко (бывш. Бегичева), Головинскій просп., № 10 у завѣдывающаго Тифлисской агентурой газеты „Каспій“ и В. А. Герценштейна; въ Москвѣ и въ С.-Петербургѣ въ контотѣ т. д. Л. и Э. Метцль и К-о и во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ столицъ и провинціи

(Ѣ. 3—1) Редакторъ-издатель А. М.-б Топчибашевъ.

მაზოლის მალამო გოლლენდერ

მაზოლი ჰქრება გოლლენდერის მალამოსაგან სრულიად ტკივილის უგრძნობლად ერთი შუშა ღირს 35 კაპ., 2 შუშა იგზავნება ფოსტით 1 მანათად ი. გოლლენდერის ლაბორატორიიდან, პეტერბურგი, ჩაზნოვსკაია ქუჩა, № 13.

ისყიდება იმპერიის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (5—5)

Дозв. ценз. Тифлисъ, 4 декабря, 1902 г. [illegible] (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)